

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N10

ქ.თბილისი

24 მარტი, 2026 წელი
15⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარაძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

შალვა ოგბაიძე

ლევან არველაძე

ვალერიან პაპუაშვილი

ალექსანდრე ასათიანი

შალვა პერანიძე

ირაკლი ბენდელიანი

მიხეილ რეხვიაშვილი

კახა ბერაძე

შალვა სუთიაშვილი

ნოდარ ბოკერია

ვახტანგ სურგულაძე

ბექა გელენავა

დავით ფანჯაკიძე

გიორგი გვენეტაძე

გიორგი ქარდავა

მარიამ გრიგოლიშვილი

შოთა ქვეციშვილი

გიორგი დოხტურიშვილი

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

ნინო ვარდოსანიძე

ზურაბ ჩიკვილაძე

კონსტანტინე ზარნაძე

ცოტნე ჩიქვინიძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ოთარ ჩრდილელი

ვაჟა კოკაია

გივი ჩხარტიშვილი

ლალი კოლომიკოვი

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ზაქარია წიკლაური

შალვა მაისურაძე

ქეთევან ჭავჭავანიძე

ბექა მენთეშაშვილი

დავით ჭელიძე

ბექა მიქაუტაძე

ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი

ალექსანდრე მუკათარიძე

მამუკა ხაბარელი

გურამ ნიკოლაშვილი

დავით ხაბეიშვილი

არჩილ ნიჟარაძე

გიორგი ხუროძე

ბექა ოდიშარია

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ არაგველი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი გიორგი კობიაშვილი;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე ვეფხია ზამალუა.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ხსოვნას, რის შემდეგაც ზურაბ აბაშიძემ განაცხადა: „ძალიან ემოციური დღეები გავიარეთ თითოეულმა ჩვენგანმა... დავკარგეთ ეპოქალური პიროვნება - ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. განუზომელია მისი ღვაწლი ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე, ეკლესიის წინაშე... ის არ იყო მოვლენა მხოლოდ საქართველოს რეალობაში, მისი პიროვნება იყო მსოფლიო მასშტაბის ფიგურა. ჩვენ მადლობლები ვართ ღმერთის იმისათვის, რომ მოგვიწია მის ეპოქაში ცხოვრება... საუკუნოდ იყოს მისი ხსენება და მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ვართ და ვიქნებით პატრიარქის გზის გამგრძელებლები“.

ბექა დავითულიანმა განაცხადა: „გასული კვირა იყო ერთი მხრივ, დიდი ტრაგედიის კვირა - ჩვენ დაგვტოვა ჩვენმა პატრიარქმა და გადავიდა სხვა მარადისობაში და მეორე მხრივ, იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ რამხელა შედეგს იძლევა სწორად განვლილი გზა და სწორი ღვაწლი და როგორ აფასებს ამას ქართველი ხალხი. მართლაც, ეს ზღვა ხალხი იმ სიყვარულზე სიყვარულით პასუხია, რაც პატრიარქის ცხოვრების გზამ გვაჩვენა და დასტური იყო იმისა, რომ ეს ქვეყანა არასდროს მოირღვევა, ყოველთვის ექნება თავისი ფესვი, ყოველთვის ეყოლება თავისი მორალური ავტორიტეტი... კიდევ ერთხელ ყველამ დავინახეთ, რომ ეს ქვეყანა ვერ დამარცხდება თუ გვექნება ერთმანეთის მიმართ სიყვარული, ერთმანეთის მიმართ გაგება და სამშობლოს მიმართ სიყვარული, რომლის მაგალითიც მოგვცა პატრიარქმა. ნათელში იყოს მისი სული და დარწმუნებული ვარ, იქიდანაც ილოცებს ჩვენთვის“.

საკრებულოს წევრებმა ღრმა მწუხარება გამოთქვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გადრაცვალებაზე, სრულიად საქართველოს მიუსამძიმრეს სულიერი მამის გარდაცვალება და ისაუბრეს მასზე. აღნიშნეს, რომ პატრიარქმა თავისი სიცოცხლე გადააქცია ერის მსახურებად და ერი წაიყვანა სიბნელიდან სინათლისკენ. ილია II არ ყოფილა მხოლოდ ერის წინამძღვარი, იგი თავად იყო უახლესი საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის თანაავტორი. მისი სახელი თანამედროვე საქართველოს სულიერი, კულტურული და სახელმწიფოებრივი აღორძინების ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ის იყო არა მხოლოდ სასულიერო იერარქი, არამედ მოაზროვნე ლიდერი, რომელმაც შეძლო ეპოქის გამოწვევებზე ღირსეული პასუხის გაცემა და რომელიც აქტიურად უწყობდა ხელს ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში, მაშინ, როდესაც ქვეყანა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის ფორმირების პროცესში იყო და მისი გარდაცვალება, ეროვნულ ტკივილთან ერთად, პირად ტკივილად აღიქმება თითოეული ჩვენგანისთვის. საკრებულოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოში მაცხოვრებელ მუსლიმებს და ეზიდებს, რომლებმაც, ქართველი ხალხის პატივისცემის ნიშნად, უარი თქვეს საკუთარი რელიგიური დღესასწაულების საზეიმო ვითარებაში აღნიშვნაზე, რათა პატივი მიეგოთ ჩვენი ერის მამისთვის და შეერთებოდნენ ჩვენს საერთო გულისტკივილს. ასევე, მადლობა გადაუხადეს სხვა, განსხვავებული კონფესიის წარმომადგენლებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ტკივილი, რითიც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მრავალფეროვნება არის არა სისუსტე, არამედ ჩვენი მთავარი სიძლიერე. ამ მძიმე დღეებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუ რამდენად ძლიერია ჩვენი ერი მაშინ, როდესაც განსაცდელის წინაშე ვდგავართ - განსხვავებების მიუხედავად, რწმენით, სიყვარულით და ერთმანეთის პატივისცემით შევძელით გაერთიანება. სწორედ ერთიანობა არის ის ძალა, რომელიც მოიცავს ილია მეორის სულიერ მემკვიდრეობას და მისი შენარჩუნება იქნება პატრიარქის დანატოვარი გზის გაგრძელება და პასუხი, რომ მისი დანატოვარი საქართველო არის ურყევი, ამაყი და ღირსეული. საქართველომ დაკარგა ადამიანი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იყო ქართველი ერის სულიერი საყრდენი და ერთიანობის სიმბოლო. მისი ხსოვნა უნდა იყოს არა მხოლოდ პატივისცემის საგანი, არამედ, ვალდებულება, გავაგრძელოთ იმ ღირებულებების დაცვა, რომლებსაც ის ემსახურებოდა, ესენია: რწმენა, ერთიანობა, ჰუმანიზმი და სამშობლოს სიყვარული. მან გადო ხიდი როგორც ზეციურ მარადისობაში, ასევე, მიწიერ მარადისობაში და მომავალში ის არ იქნება პატრიარქი, რომელიც არ ემახსოვრება მესამე ან მეოთხე თაობას. საკრებულომ უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ და რა მემორიალური ნიშნით შეიძლება უკდავყოს ილია მეორის სახელი ერში და ქალაქში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „გიორგი ხვედელიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“;

მომხსენებელი: ზურაბ აბაშიძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ლევან მესხიას არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: ზურაბ აბაშიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვეფხია ბაძალა

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნიკოლოზ არაგველი

6. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

7. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

8. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

9. „ქალაქ თბილისში, დიმიტრი ალექსიძის ქ. N12-ში მდებარე N10 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.525.01.01.010); ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N28-ში მდებარე N14 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.014) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე N125 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.125) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

10. „ქალაქ თბილისში, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N18-36-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთების (ს/კ: N01.10.15.009.010; N01.10.15.009.013; N01.10.15.009.014) მიმართ ზოგიერთი ღონისძიების გატარებისა და აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ Nე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ Nე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს.კ. 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ Nე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

14. „ქ.თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N5-ის მიმდებარედ 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.117) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მასკი 2025“-ისთვის (ს/ნ. 437081774) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

15. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.011.190) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფეინი 620-სთვის“ (ს/ნ. 412794034) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

16. „ქ.თბილისში, მტკვრის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.008.040) 45 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისის დიპლომატა კლუბი ხომლისთვის“ (ს/ნ. 204383452) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

17. „ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებული 702 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.262) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ორენჩი მირზოვეისთვის (პ/ნ. 01001014105) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

18. „ქ.თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.045.019) 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლოლასთვის“ (ს/ნ. 400100555) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

19. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქ.N58-ის მიმდებარედ არსებული 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.016.035) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გია გვარამიასთვის (პ/ნ. 62007002038) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

20. „ქალაქ თბილისში, კონსტანტინე ილურიძის ქუჩა N2-ში მდებარე 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.11.028.037) პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარი ლობჯანიძისთვის (პ/ნ. 01019004444) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

21. „ქ.თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა N4-ში არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.005.046) შპს „ბი კაპიტალისთვის“ (ს/ნ. 405757499) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

22. „ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N3-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.030.074) ნატალია ბეგაშვილისთვის (პ/ნ. 13001013950) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

23. „ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში მდებარე N01.19.37.016.233, N01.19.37.016.234, N01.19.37.016.237, N01.19.37.016.238 და N01.19.37.016.239 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი, ჯამურად 1000 კვ.მ. ფართის ნაწილის (118 კვ.მ.) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არქ არეას“ (ს/ნ. 404619711) (დღეის მდგომარეობით უფლებამონაცვლე: შპს „აზგრეიდ

ქონსტრაქშენი“ - ს/ნ. 405542024)“ შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულეების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამონატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ. 404619711) (დღეის მდგომარეობით უფლებამონაცვლე: შპს „აბგრიდ ქონსტრაქშენი“ - ს/ნ. 405542024)“ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს“ - ს/ნ. 405385578 (დღეის მდგომარეობით უფლებამონაცვლე - შპს „ლ.ბ დილომი“ - ს/ნ. 430044631) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიღმის 2 მ/რ, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „იმობილიარეს“ (ს/ნ. 400324056) შორის 2022 წლის 27 ივლისს გაფორმებული „ქ.თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა N46-ში მდებარე ავტოფარეხის შენობა N4-ის (საკადასტრო კოდი: N01.13.06.009.004.04.500) და ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-ში მდებარე ბინა N71-ის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.071) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ფონიჭალა 3-ის დასახლების კორპუსი N9-ის მიმდებარედ არსებული 1308 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.023.052) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის

ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანისა და დამატებითი პირობების განსაზღვრის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

30. „მისამართზე - ქ.თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა“ -ში, (ს/კ. N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“, შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) და შპს „მეტროპოლ აბაშიძის“ (ს/ნ. 405759184) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

31. „მისამართზე - ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ, ს/კ. N01.17.12.003.255 (ამჟამად, მოსკოვის გამზირი N9ა - ს/კ. N01.17.12.003.255, მოსკოვის გამზირი N9ბ, გ - ს/კ. N01.17.12.003.276) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404568384) და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

32. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.013, ფართობი - 8827 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N133 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

33. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N50ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.175, ფართობი - 1189 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

34. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ხატაეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.812, ფართობი - 659 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის N21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

35. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, N66, N72, N72ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.500, ფართობი - 3465 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

36. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

თანამომხსენებელი: სერგო ბირკაძე

37. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

38. „ქალაქ თბილისში, წამებულის ქუჩა N71-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 01.17.12.006.008; 01.17.12.005.031; 01.17.12.005.032) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

39. „ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 01.81.08.500.011; 01.81.08.500.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

40. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონი, მარნეულის ქუჩა N39; ქ.თბილისი, მარნეულის ქუჩა N39-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.12.022.070; 01.18.12.022.001; 01.18.12.022.069; 01.18.12.022.068; 01.18.12.022.017) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

41. „ქალაქ თბილისში, რაფიელ აგლამის ქუჩა, N32, N32ა, N32ი; ქალაქი თბილისი, გუდაუთის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.05.004.252; N01.13.05.004.253; N01.13.05.004.241; N01.13.05.004.261) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

42. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი (ჭაობის მიწა) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.930; N72.16.17.850; N72.16.21.961) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

43. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.067) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

44. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ.N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ.N7, N71, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

45. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: NN81.02.06.536; 81.02.06.537; 01.81.02.100.037; 01.81.02.100.036; 81.02.06.538; 81.02.06.535; 81.02.94.740; 81.02.98.016; 81.02.06.527; 81.02.06.567; 81.02.06.394; 81.02.06.549; 81.02.06.543; 01.81.02.100.001; 01.81.02.100.002; 01.81.02.100.019; 01.81.02.100.017; 01.81.02.100.018; 81.02.06.539; 81.02.06.529; 01.81.02.100.043; 01.81.02.100.042; 81.02.94.234; 81.02.06.531; 81.02.06.569; 81.02.93.291; 81.02.96.001; 81.02.06.424; 01.81.02.100.033; 01.81.02.100.032; 81.02.06.532; 81.02.94.185; 81.02.94.314; 01.81.02.100.007; 01.81.02.100.009; 01.81.02.100.008; 01.81.02.100.006; 81.02.95.832; 81.02.96.443; 81.02.94.333; 81.02.06.485; 81.02.94.184; 01.81.02.100.030; 01.81.02.100.031; 81.02.96.402; 81.02.06.410; 81.02.06.456; 81.02.94.211; 81.02.06.488; 81.02.95.450; 01.81.02.100.024; 01.81.02.100.025; 81.02.06.444; 81.02.06.378; 81.02.94.191; 81.02.95.318; 01.81.02.100.012; 01.81.02.100.013; 81.02.06.427; 81.02.06.475; 81.02.06.446; 81.02.06.381; 81.02.94.475; 01.81.02.100.020; 01.81.02.100.021; 81.02.94.372; 81.02.94.210; 81.02.97.816; 81.02.96.798; 81.02.94.189; 01.81.02.100.010; 01.81.02.100.027; 01.81.02.100.026; 81.02.97.661; 01.81.02.100.011; 01.81.02.100.029; 01.81.02.100.028; 81.02.94.206; 81.02.94.499; 01.81.02.100.003; 01.81.02.100.004; 01.81.02.100.005; 01.81.02.100.023; 01.81.02.100.022; 81.02.06.459; 81.02.06.451; 81.02.06.455; 01.81.02.100.016; 01.81.02.100.015; 81.02.94.188; 81.02.94.190; 81.02.06.534; 81.02.06.457; 81.02.06.338; 81.02.06.365; 01.81.02.100.034; 01.81.02.100.035; 01.81.02.100.040; 01.81.02.100.039; 01.81.02.100.041; 01.81.02.100.038; 81.02.06.544; 81.02.06.545; 01.81.02.101.014; 81.02.98.305; 01.81.02.101.016; 01.81.02.101.009; 01.81.02.101.015; 01.81.02.101.017; 01.81.02.101.010; 01.81.02.101.013; 81.02.06.572; 81.02.06.519; 01.81.02.101.021; 01.81.02.101.020; 81.02.06.521; 81.02.06.418; 81.02.06.522; 01.81.02.101.022; 01.81.02.101.023; 81.02.96.794; 01.81.02.101.024; 81.02.06.434; 81.02.06.514; 81.02.97.077; 81.02.97.076; 81.02.06.382; 81.02.06.616; 81.02.06.615; 81.02.93.271; 81.02.93.217; 81.02.93.218; 81.02.93.216; 81.02.99.874; 81.02.99.466; 81.02.06.350; 81.02.06.387; 01.81.02.101.018; 01.81.02.101.019; 81.02.96.340; 81.02.06.518; 81.02.06.610; 01.81.02.101.011; 01.81.02.101.012; 81.02.06.862) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

46. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.013, ნაკვეთი 13/13) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N200 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

47. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024

წლის 14 ივნისის N299 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

48. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, შუა მინდვრის ქუჩა, N38ა; N38; N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.58.003.002; N72.16.28.131; N01.72.58.003.001; N72.16.28.126) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 სექტემბრის N464 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

49. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ. N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.048; N01.11.04.026.109; N01.11.04.026.110) მრავალფუნქციური ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N444 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

50. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

51. „ქალაქ თბილისში, გიორგი მდივნის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ. 07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N678 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

52. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე; ქინძმარაულის ქუჩა N37-ში; რქაწითელის ქუჩა N9, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.33.015.120; N01.19.33.015.050; N01.19.33.015.131; N01.19.33.015.094; N01.19.33.015.195; N01.19.33.015.192; N01.19.33.015.219; N01.19.33.019.126-ის ნაწილი; N01.19.33.015.194) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე „მშრალი პორტი“-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N629 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

53. „ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა, N113-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.09.009.005; N01.18.09.009.006) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N346 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

54. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელი რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.968) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N66 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

55. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N30-ში; ქალაქ თბილისში, ქუჩა ც.დადიანი, N32-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.011.116; N01.12.12.011.001; N01.12.12.011.120; N01.12.12.011.111; N01.12.12.011.128; N01.12.12.011.129) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N393 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიმე

მომხრე - 46

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „გიორგი ხვედელიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ხვედელიძემ, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წერილობითი განცხადებით (წერილი N12-0326065147-03 თარიღი: 06.03.2026) მიმართა მას და განმარტა, რომ გიორგი ხვედელიძე თანამდებობიდან გათავისუფლებულად ჩაითვლება 2026 წლის 6 მარტიდან. აქვე აღნიშნა, რომ მან ღირსეულად იმუშავა და ითანამშრომლა, როგორც მერიასთან, ასევე, საკრებულოსთან, რისთვისაც მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გიორგი ხვედელიძის გათავისუფლების საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ლევან მესხიას არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ. აღნიშნა, რომ ლევან მესხიას აქვს საკმაოდ შთამბეჭდავი ბიოგრაფია, ის მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე სწორედ აუდიტის მიმართულებით, არის ღირსეული პიროვნება და სიტყვა გადასცა მას.

ლევან მესხიამ ისაუბრა საკუთარ ბიოგრაფიაზე და აღნიშნა, რომ 2001 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2002 წლიდან მუშაობს საჯარო სექტორში, კერძოდ: მუშაობა დაიწყო შინაგან სამეთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამომიებო სამსახურში გამომძიებლად; შემდეგ გადავიდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, სადაც იმუშავა სხვადასხვა პოზიციებზე; იყო ზუგდიდის საკრებულოს წევრი, რა დროსაც იყო სამანდატო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მოგვიანებით - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; 2009 წელს მუშაობა დაიწყო ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში; 2015 წელს გადავიდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტში ინსპექტირების სამმართველოს ხელმძღვანელად; 2018 წლიდან, მუშაობა განაგრძო ეროვნულ სატყეო სააგენტოში შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსად; მოგვიანებით მუშაობდა სოფლის განვითარების სააგენტოში შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსად; დღეის მდგომარეობით, მუშაობს რეგიონალური განვითარების სამინისტროში შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილედ.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი დაინტერესდა, თუ რომელ პარტიას წარმოადგენა ლევან მესხია ზუგდიდის საკრებულოს წევრობისას.

ლევან მესხიამ აღნიშნა, რომ ზუგდიდის საკრებულოს წევრი იყო „ნაციონალური მოძრაობიდან“, თუმცა, პარტიული არ ყოფილა.

დავით ფანჯაკიძემ აღნიშნა, რომ აუდიტის სამსახურმა მუნიციპალიტეტში უნდა იზრუნოს არა მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებაზე, არამედ, იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ესა თუ ის სამსახური და როგორ ასრულებს თავის მოვალეობებს. ისაუბრა იმაზე, რომ მისმა კოლეგამ, მერიის შესაბამისი სამსახურიდან, გამოითხოვა ინფორმაცია კოეფიციენტის მატების რაოდენობრივ მაჩვენებლთან დაკავშირებით, რაზეც პასუხად მიღებულ წერილში მითითებული იყო ვებ.გვერდი, სადაც შეიძლებოდა აღნიშნული ინფორმაციის მოძიება და მიმართა ლევან მესხიას, რომ მისი ყურადღების საგანი, მათ შორის, უნდა იყოს მერიის სამსახურების საკრებულოს მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რადგან ასე თანამშრომლობა არ შეიძლება.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ საკრებულომ, კომისიურ რეჟიმში, იმსჯელა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის არჩევაზე და ლევან მესხიას კანდიდატურა შეირჩა მისი გამოცდილებიდან და პროფესიონალიზმიდან გამომდინარე. აქვე გამოეხმაურა დავით ფანჯაკიძის მიერ დასმულ საკითხს და მიმართა ლევან მესხიას, რომ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ, გაერკვეს აღნიშნულ საკითხში და ითანამშრომლოს საკრებულოს როგორც უმრავლესობის, ასევე, ოპოზიციის წევრებთან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 41

თავი შეიკავა - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ გოგიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამას, კერძოდ, დღეის მდგომარეობით, სერვისით სარგებლობს 2400 ბენეფიციარი, ხოლო პირველი აპრილიდან მუნიციპალიტეტს ექნება საშუალება პროგრამაში ჩართოს მომლოდინეთა რეჟიმში მყოფი ყველა პირი, რის შედეგადაც მოსარგებლეთა რაოდენობა გახდება 2700 და არცერთი ბავშვი არ დარჩება მომსახურების მიღმა.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ ხსენებული არის უმნიშვნელოვანესი პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2015 წლიდან, მაშინ, როდესაც ძალიან ცოტა იყო აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების რაოდენობა. მაღლობა გადაუხადა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და საკრებულოს შესაბამის კომისიას იმისათვის, რომ ეს პროგრამა ყოველწლიურად უმჯობესდება და განიცდის მოდერნიზაციას. აქვე, აღნიშნა, რომ მოლოდინის რეჟიმი ხშირად გრძელდება თითქმის ერთი წლის განმავლობაში, შესაბამისად, ამ პერიოდში იმატებს ბავშვების რაოდენობაც და როდესაც იყო ასეთი შემთხვევა, ქალაქის მერთან შეთანხმებით, გამოიძებნა ფინანსური რესურსი იმისთვის, რომ ბავშვები დაუყოვნებლივ ჩართულიყვნენ პროგრამაში. აქედან გამომდინარე, მიმართა თამარ გოგიტიძეს, რომ სამსახურმა გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაცია და თუ, თვეების განმავლობაში, მოიმატებს ბავშვების რაოდენობა, მაქსიმალურად ეცადოს, უზრუნველყოს მათი პროგრამაში ჩართვა, რაშიც საკრებულო ყოველთვის გვერდში დაუდგება და დარწმუნებულია, რომ არც ქალაქის მერი დაიხევს უკან. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, მატულობს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების რაოდენობა, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი რაოდენობის სპეციალიზირებული დაწესებულებების არსებობა და საჭიროა ვიმუშაოთ იმ მიმართულებითაც, რომ თუ შესაძლებელი იქნება, პოლიკლინიკების ბაზაზე შეიქმნას სერვისის მიმწოდებელი ცენტრები.

ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის განხორციელებით მუნიციპალიტეტი ძალიან კარგს საქმეს აკეთებს და მაღლობა გადაუხადა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს. აქვე განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით იმატებს ბენეფიციართა რაოდენობა და ძალიან უნდა, რომ მთელს საქართველოში იყოს ისეთივე პროგრამა, როგორც არის თბილისში.

ბექა მიქაუტაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია და მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს მაღლობა გადაუხადა პროექტის წარმოდგენისთვის. აქვე აღნიშნა, რომ, დღეის მდგომარეობით, პროგრამაში ჩართულია თოთხმეტი აბილიტაციის ცენტრი და, არსებული ინფორმაციით, საუბარია მეთხუთმეტე ცენტრის ჩართვაზეც. აქვე განაცხადა, რომ სამწუხარო რეალობაა ის, რომ მოთხოვნა მატულობს და მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სერვისის გარეშე არ დარჩეს არცერთი ბავშვი, რაზეც მეტყველებს ის, რომ შეიცვალა წესები, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ მალე გავიდეს მომლოდინეთა რიგი.

თამარ გოგიტიძემ აღნიშნა, რომ სამსახური ამ ეტაპზეც აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ გაიზარდოს სერვისის მიმწოდებელი ცენტრების რაოდენობა და ამასთანავე, დღეს უკვე, პროგრამაში ჩართვებიან ის პირები, რომლებიც აქამდე არ იღებდნენ სერვისს და შესაბამისად, არავინ დარჩება მომსახურების გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე ვეფხია ბაძაღუაძე და განმარტა, რომ ცვლილებები ეხება გარე განათების ახალი წერტილების მოწყობისთვის საჭირო სამუშაოებს, კერძოდ, წარმოდგენილია 12 სახეობის მომსახურების დამატება და 105 სახის მომსახურების ფასის გაზრდა, რაც გამოწვეულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებულ ფასებთან გათანაბრებით.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს თითოეული წევრის მუშაობის ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად კარგი კომუნიკაციაა მერიის სამსახურებთან და სააგენტოებთან და მადლობა გადაუხადა შპს „თბილსერვის ჯგუფს“ გვერდში დგომისთვის და თანამშრომლობისთვის. ისაუბრა ავჭალის შემოვლით გზაზე და აღნიშნა, რომ გარკვეულ მონაკვეთზე არის განათების პრობლემა. ასევე, ისაუბრა ქვეითთა გადასასვლელებზე, სადაც, მისი თქმით, სასურველია ისეთი განათებების დაყენება, როგორც არის მაგალითად ავჭალის რაგბის სტადიონის შესასვლელთან, რომელიც იმდენად კარგად აღქმადია, რომ არა თუ მძიმე შემთხვევა, არამედ ავარიაც კი არ მომხდარა ამ განათების მოწყობის შემდეგ და კარგი იქნება, თუ ზებრებზე განათებების მოწყობას მიეცემა პროგრამული სახე.

ვახტანგ სურგულაძემ დაინტერესდა იქნება თუ არა ახალი განათების მოწყობილობები აწყობილი ეკონომ ნათურებზე და ე.წ. ცივ ანუ თეთრ ნათებაზე და არა ყვითელ ნათებაზე, რომელიც, განათების კუთხით, არანაირ შედეგს არ იძლევა.

ვეფხია ბაძაღუაძე განმარტა, რომ შემუშავებულია ევროპული სტანდარტები, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სხვადასხვა კატეგორიის ქუჩების განათების კლასიფიკაცია, რომელიც არ ითვალისწინებს მხოლოდ თეთრ ნათებას. ამ ეტაპზე, მთელი ქალაქის მასშტაბით განსაზღვრულია ქუჩების კატეგორია, დანერგულია ახალი თანამედროვე სისტემები, რომლებიც გათვლილია ახალი ტიპის „LED“ სანათებზე და თუ მთელი ქალაქის მასშტაბით მოხდება განათების შეცვლა, გვექნება დაახლოებით 56%-იან ანუ წელიწადში 9000000 ლარის ეკონომია.

ვაჟა კოკაიამ აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, სკვერებში დასამონტაჟებელ „LED“ სანათებზე გამოცხადებულია ტენდერი, თუმცა, ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა შესყიდვა და დაინტერესდა რა ეტაპზეა აღნიშნული ტენდერი. აქვე აღნიშნა, რომ ვარკეთილში არსებული რამდენიმე სკვერი რეაბილიტირებულია 2-3 წელია, თუმცა, დღეის მდგომარეობით, ფაქტობრივად ჩაბნელებულია და მოსახლეობა ელოდება განათებებს, რადგან შეუძლებელია ამ მდგომარეობაში არსებული სკვერებით სარგებლობა.

ზაქარია წიკლაურმა აღნიშნა, რომ მის სამაჟორიტარო ოლქში არსებულ რამდენიმე სკვერში მოწყობილია ახალი განათების სისტემა, თუმცა, ძირითადად არის ძველი განათების ბომბები, რაც ძალიან პრობლემატურია, რადგან ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას და გამოდის, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ხარჯი, თუმცა, არ არის შედეგი, რადგან არაფერი ჩანს ქუჩებში და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა და თუ იგეგმება როდის, რომ ეტაპობრივად მაინც მოხდეს ძველი განათების სისტემის ჩანაცვლება ახალი სტანდარტების შესაბამისი განათებით.

შალვა სუთიაშვილმა აღნიშნა, რომ კომისია მუშაობს სტადიონების სტანდარტიზაციაზე და ამ მხრივ, ერთ-ერთი პრობლემა არის განათების კუთხით არსებული სიტუაცია. გამგეობებთან ერთობლივი მუშაობის პროცესში, აღმოჩნდა, რომ ამ მიმართულებით, ძალიან დიდი სამუშაოა გაწეული და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა განათების ჩანაცვლება იმ მოედნებზე, სადაც ჯერ კიდევ ძველი განათების სისტემაა.

შალვა პერანიძემ განაცხადა, რომ გარეუბნებში, მაგალითად დიდ დილომში, ვაშლიჯვარსა და სოფელ დილომში ნაკლები ყურადღება ექცევა საახალწლო განათებების მოწყობას, რაც იწვევს მოსახლეობის გულისწყვეტას და მართალია, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, თუმცა, კარგი იქნება, გავითვალისწინოთ და მოვახერხოთ გარეუბნებში გარე განათებების მოწყობა საახალწლოდ.

ვეფხია ბაძალუამ განმარტა, რომ ახალ რეაბილიტირებულ ბაღებსა და სკვერებში განათებების მოწყობის და ამ კუთხით არსებული პრობლემის მოგვარების ვალდებულება პირველი 2-3 წლის განმავლობაში აქვთ თავად შემსრულებლებს, ხოლო იქ, სადაც ამოწურულია საგარანტიო ვადა, გამოცხადებულია ტენდერი, თუმცა, დიდი კონკურენციის გამო, აგვისტოში გამოცხადებული ტენდერი, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და ამ ეტაპზე, გაუჭირდება იმის თქმა, თუ როდის დასრულდება. აქვე აღნიშნა, რომ განათების მიმართულებას აქვს სხვადასხვა ხაზი, მათ შორის, საავტომობილო გზების, ბაღ-სკვერების და გვირაბების, რომლებსაც განსხვავებული სტანდარტები აქვთ. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ, როდესაც „თბილსერვის ჯგუფს“ არ ჰქონდა პროექტში ჩარევის უფლება, ბაღ-სკვერების თუ მოედნების განათებების მოწყობა ხდებოდა სტანდარტების დარღვევით, თუმცა, სამსახურმა მოახერხა ის, რომ დღეს პროექტები თანხმდება მასთან და შესაბამისად, მუშაობს იმ მიმართულებით, რომ გასულ წლებში რეაბილიტირებული ბაღებისა და სკვერების განათება გადაეწეოს ევროპულ სტანდარტებზე. ახალ განათებებზე გადასვლასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, ახალი „LED“ სანათები დამონტაჟდება ცენტრალურ ქუჩებზე, ხოლო იქიდან მოხსნილი სოდიუმის და ნატრიუმის სანათები დამონტაჟდება გარეუბნებში და ასე, ეტაპობრივად, მოხდება ძველი სანათების ჩანაცვლება.

გიორგი დოხტურიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, თუ კონტრაქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაჩნდება ჩანაწერი, რომ საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი პრობლემის აღმოფხვრის ვალდებულება ჰქონდეს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ წერილის მიწერიდან გარკვეულ ვადაში, რათა მივიღოთ სასურველი შედეგი. აქვე გამოეხმაურა ვეფხია ბაძალუას განცხადებას, რომ მთელი ქალაქის მასშტაბით განათების შეცვლის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს წელიწადში ექნება დაახლოებით 9000000 ლარის ეკონომია, რაც, მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი და სამსახურის სწორი პოლიტიკის ნაწილია და დაინტერესდა, ხომ არ განიხილება მზის პანელზე და ქარზე მომუშავე განათებების განთავსება იქ, სადაც ლოკაციიდან გამომდინარე, იქნება ამის შესაძლებლობა, რადგან აღნიშნულის განხორციელების შემთხვევაში, საერთოდ არ იქნება დანახარჯი.

ვეფხია ბაძალუამ აღნიშნა, რომ სამსახურს ნამუშევარი აქვს მზის პანელზე მომუშავე განათებების მიმართულებით და იქიდან გამომდინარე, რომ ვერცერთი მწარმოებელი ვერ იძლევა 7 საათზე მეტი სამუშაო დროის გარანტიას, აღნიშნულის განხორციელება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის, რადგან, მაგალითად, ზამთრის პერიოდში, გარე განათების ჩართვა-გამორთვის გრაფიკი 12 საათსაც აღწევს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ არაგველმა და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ფასიანი მომსახურების წესში ცვლილებები,

კერძოდ: იზრდება პატრონიანი ცხოველების და პატრონიანი ცხოველების ლეშის ტრანსპორტირების საფასური, ცვლილებებია წარმოდგენილი სტერილიზაცია-კასტრაციის თანხების განსაზღვრაში და ასევე, ცხოველების კერძო ტერიტორიიდან დაჭერა-გაყვანის საფასურში.

ბეჟა დავითულიანი დაინტერესდა, გადაიხდის თუ არა კერძო მესაკუთრე ძაღლის გაყვანის მომსახურების თანხას იმ შემთხვევაში, თუ მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე შევა უპატრონო ძაღლი.

ნიკოლოზ არაგველმა განმარტა, რომ წესით გათვალისწინებულია საფუძვლები, როდესაც სააგენტოს უსასყიდლოდ გადაჰყავს ცხოველები და იმ შემთხვევაში, თუ ცხოველი გასტერილებული და აცრილია, არ არის აგრესიული და არ არის დაკბენის ფაქტი, ის არ ექვემდებარება ტერიტორიიდან გადაყვანას. შესაბამისად, თუ კერძო ტერიტორიაზე შევა ბირკიანი ძაღლი, რომელიც არ ქმნის არანაირ საშიშროებას, მაგრამ კერძო მესაკუთრეს სურს მისი ტერიტორიიდან გაყვანა, მომსახურების საფასურს გადაიხდის ტერიტორიის მფლობელი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბეჟა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 17 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბეჟა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 47 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1999 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბეჟა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 53 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, დიმიტრი ალექსიძის ქ. N12-ში მდებარე N10 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.39.029.525.01.01.010); ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N14 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.014) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე N125 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.125) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემა, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ ეტაპზე, წარმოდგენილია ორი პირის საკუთრებაში არსებული 122 კვ.მ. ფართის სანაცვლოდ, მათთვის სამი ფართის გადაცემა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N18-36-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთების (ს/კ: N01.10.15.009.010; N01.10.15.009.013; N01.10.15.009.014) მიმართ ზოგიერთი ღონისძიების გატარებისა და აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული ქონება ჩაითვლება ფუნქციური დანიშნულების დაკარგულად და შესაბამისად, მისი განკარგვის საკითხი წარედგინება საკრებულოს. აქვე აღნიშნა, რომ ქონება ირიცხება მუნიციპალიტეტის ძირითად ქონებად, თუმცა, სააგენტოს მიერ, განხორციელდა ტერიტორიის ცალკე გამოყოფა, რომელიც განიკარგება მუნიციპალური პროექტით და შესაბამისად, ხსენებული ნაწილი აღარ იქნება ტროტუარის ფუნქციით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებულია თბილისის ტერიტორიაზე განათავსოს ელექტრო დამტენები. წარმოდგენილი პროექტით იცვლება საიჯარო ქონების ჩამონათვალი და კომპანიას გადაეცემა ალტერნატიული ქონებები.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი წინა საკითხის იდენტურია და ამ შემთხვევაშიც, იცვლება საიჯარო ქონების ჩამონათვალი და კომპანიას გადაეცემა ალტერნატიული ქონებები.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბექა დავითულიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 1

